წერილის ნომერი: **17-01220542778**
თარიღი: **23/02/2022**
პინი: **6177**

ადრესატი: ი.ბ.ა ,,ვაშლიჯვარი''
საიდენტიფიკაციო ნომერი: 205394633
მისამართი: ქ.თბილისი მუხრან მაჭავარიანის ქ.N18

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01220533380-17 განცხადების, რომელშიც ითხოვთ ქალაქ თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N18; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზაზე (საკ. კოდი N01.10.18.006.221) მდებარე ობიექტების მშენებლობის საეტაპო ოქმების წარუდგენლობასთან დაკავშირებით სამართალდარღვევისთვის განსაზღვრული სანქციისაგან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციას, გაცნობებთ შემდეგს:

სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის N5203963 27.11.2020წ. ბრძანებით შეთანხმდა ქალაქ თბილისში, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა N18; ქალაქი თბილისი, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზაზე (საკ. კოდი N01.10.18.006.221) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა.

აღნიშნული ბრძანებით, პირველ ეტაპად განისაზღვრა „სამშენებლო მოედნის მოწესრიგება, რაც დაკავშირებულია მათ შორის ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობის დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავებისა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკავიების გადატასთან.“, მეორე ეტაპად ,,შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება“; AR1779616 განცხადებაზე ატვირთული ორგანიზების კალენდარული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული ეტაპების დასრულების ვადად განისაზღვრა 27.01.2021წ. პირველი ეტაპის ოქმის წარმოდგენის ვადად 27.01.2021წ., ხოლო მეორე ეტაპის წარმოდგენის ვადა 27.05.2021წ.

N5203963 27.11.2020წ. ბრძანებით, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ეტაპად განისაზღვრა შემდეგი სამუშაოები:

3) შენობა-ნაგებობების მიწის სამუშაოები;

4) შენობა-ნაგებობების ფუძის მოწყობის სამუშაოები;

5) შენობა-ნაგებობების საძირკვლის მოწყობის სამუშაოები;

6) ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა შენობა-ნაგებობის ნულოვან ნიშნულამდე; AR1779616 განცხადებაზე ატვირთული ორგანიზების კალენდარული გრაფიკის მიხედვით აღნიშნული ეტაპების დასრულების ვადად განისაზღვრა 27.05.2021წ. ხოლო ოქმის წარმოდგენის ვადად 27.12.2021წ.

აღნიშნული ეტაპის დასრულების შესახებ შედგენილი საეტაპო ოქმები მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენილი არ არის.

„საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს 1415-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით „შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის სამშენებლო სამართალდამრღვევს 2022 წლის 1 იანვრამდე არ დაეკისრება ამ კოდექსის 132-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა“. მეორე ნაწილის მიხედვით „ის სამშენებლო სამართალდამრღვევი, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედებამდე დაეკისრა პასუხისმგებლობა შენობა-

ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმის დადგენილი წესით წარუდგენლობისთვის და ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის ჯარიმის/საურავის თანხა გადახდილი არა აქვს ან ნაწილობრივ აქვს გადახდილი, თავისუფლდება ჯარიმის/საურავის თანხის ან/და მისი გადაუხდელი ნაწილის გადახდის ვალდებულებისგან. პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება აგრეთვე ის სამშენებლო სამართალდამრღვევი, რომელსაც შენობა-ნაგებობის მშენებლობისას მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის შესაბამისი ორგანოსთვის საეტაპო ოქმი არ წარუდგენია და რომლის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებული არ არის ან სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებულია, მაგრამ დადგენილება მიღებული არ არის“. ხოლო მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით „მშენებლობის საჯარო ზედამხედველობის ორგანო იმ სამშენებლო სამართალდამრღვევის მიმართ, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების მომენტისთვის ჩადენილი აქვს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა და რომლის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებული არ არის, არ დაიწყებს შესაბამისი საქმის წარმოებას, ხოლო თუ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება დაწყებულია, მაგრამ დადგენილება მიღებული არ არის, იღებს დადგენილებას დაწყებული სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ“.

N5203963 27.11.2020წ. ბრძანებით, მე-7 ეტაპად განისაზღვრა: შენობა-ნაგებობის ნულოვანი ნიშნულიდან ძირითადი კონსტრუქციული სისტემის მოწყობა 0,00-6.30 ნიშნულამდე; 6.30-12-12.90 მდე; 12-9--19,50 მდე; 19,50-26.10 მდე, 26.10-32,70 მდე, 32-70-39,30 მდე, 39,30-41,90 მდე. აღნიშნული ეტაპის დასრულების ვადად განისაზღვრა 27.12.2021წ. ხოლო ოქმის წარმოდგენის ვადად 27.02.2022წ.

ზაზა კვიციანი

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი





ფართობი: 5103 მ^2	პირობითი აღნიშვნები	ტოპოგრაფიული ნახაზი მ 1:500 / რელიეფის კვეთა 0.5მ		
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	გეგმურ სიმაღლური წერტილი (რპ)	რკინის ღობე
კანალიზაცია	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური
დენის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი
გაზის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი
წყლის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური
	ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური

შ.პ.ს. "ჯითი სარვეი" L.T.D "GT Survey"		
ქ.თბილისი, ... დიღომი, მირიან მეფის ქ №5 ტელ: 598 30 20 15		
დირექტორი		ბ. ხაჩიძე
კომპ. უზრუნველყოფა		ბ. ხაჩიძე
გეოდეზისტი		დ.კახაბერი
მისამართი	ქ. თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა №18, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზა ს/კ 01.10.18.006.221	
დამკვეთი		
	თარიღი	28.11.2018

400224681

გენგეგმა
მ. 1:500



პროექტის სახელწოდება:
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

საპროექტო ორგანიზაცია: **ი.ბ.ა "ვაშლივკვარი"**
ს/კ 205394633

თავჯდომარე : დ.ახვლედიანი

არქიტექტორი: ვ.ტატიაშვილი

დამკვეთი:ამხანაგობა " ვაშლივკვარი"
ს/კ 205394633

ქალაქი თბილისი, მუხრან მაჭავარიანის №18, ნუცუბუძე-ვაშლივკვრის დამაკავშირებელი გზა. (საკ. 01.10.18.006.221)

არქიტექტურული ნაწილი

ნახაზი:
გენგეგმა

ფურცელი:

მასშტაბი: 1:100 ფორმატი: A1

11/17/2020